სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 63

2013 წლის 12 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის - "ლეონარდო და ვინჩი" გამოცხადებისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ " სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 10 სექტემბრის №51 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველი ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის - "ლეონარდო და ვინჩი" გამოცხადებისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ " სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 10 სექტემბრის №51 ბრძანებაში და კონკურსის პირობების (დანართი №1) მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ხელმოწერილი „განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ" ისევე, როგორც საილუსტრაციო ნახაზი/მოდელი/მაკეტი ფონდში წარდგენილი უნდა იქნას 15 ნოემბრის 18:00-მდე."

2. დაევალოს ფონდის კონსულტანტს მეცნიერების პოპულარიზაციის საკითხებში (დ. გუგავა) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge

3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური